

სიტყვის ბგერითი და მნიშვნელობის ურთიერთშესატყვისობა, როგორც დახსომების ინტენსიფიკაციის ფაქტორი

სოფიო თევდორაძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებების ფაკულტეტი. ფსიქოლოგიის მიმართულება.

ანოტაცია

სიტყვის ბგერითი მხარისა და მნიშვნელობის ურთიერთშესატყვისობის, როგორც დახსომების ინტენსიფიკაციის ფაქტორის შესწავლის მიზნით ჩატარებულმა ექსპერიმენტმა გვიჩვენა, რომ სიტყვის ზემოთ აღნიშნული მხარეების ურთიერთშესატყვისობა მნიშვნელოვნად ააღვილებს მათ შორის კავშირის დამყარებას და მაშასადამე ხელს უწყობს ამ სიტყვების დასწავლა-დაუფლებას.

ჩვენს მიერ მიღებული ექსპერიმენტის შედეგების მონაცემები სამივე სერიაში არა მხოლოდ ასაბუთებს ამ ჰიპეთეზის სისწორეს, არამედ ამ კავშირის სიმტკიცეზე და დროში გამძლეობაზე მიუთითებს. ეს მდგომარეობა განსაკუთრებით გამოიკვეთა ჩვენი ექსპერიმენტის II სერიაში. თუმცა ამ პროცესების ცნობიერად მართვა არ ხდებოდა და ცდისპირებისათვის ინფორმაცია ხელახალ გამოირებას არ ექვემდებარებოდა. რა მიმართავს ცდისპირებს ამ არჩევანისაკენ და რა საფუძველი შეიძლება ჰქონდეს ასეთ დასკვნას, მათ გამოსავლებად სპეციალური ექსპერიმენტებია საჭირო.

ჩვენი ექსპერიმენტის მასალების ანალიზი კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ კავშირი სიტყვის ბგერით მხარესა და მნიშვნელობას შორის არაა ნებისმიერი და სახელდების პროცესი კანონზომიერ ხასიათს ატარებს.

სიტყვის ბგერითი მხარისა და მის მნიშვნელობას შორის კავშირის საკითხის გადაწყვეტაში ძირითადად შეიმჩნევა ორი მიმართულება. პირველი ცნობილია ენობრივი ნიშნის პირობითობისა და ნებისმიერობის თეორიის სახელწოდებით, რომლის თანახმადაც კავშირი სიტყვის ბგერით მხარესა და მნიშვნელობას შორის ატარებს შემთხვევით ხასიათს ე.ი. მიჩნეულია, რომ ნებისმიერი შინაარსის აღმნიშვნელის სახით შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ნებისმიერი ბგერათა კომპლექსი. საკითხის მეორენაირი გადაწყვეტა, პირიქით მიუთითებს სიტყვის ბგერითი მხარისა და მის მნიშვნელობას შორის კავშირის კანონზომიერ ხასიათზე.

ფსიქოლოგიური მეცნიერებისა და ენათმეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპზე, მრავალი ექსპერიმენტული მასალა მოიპოვება, რომელიც ეწინააღმდეგება ენობრივი ნიშნის პირობითობის თეორიას და მეტყველებს პრობლემის მეორენაირი გადაწყვეტის სასარგებლოდ. ამ ფაქტს ადასტურებს დ. უზნაძის, ჩ. ფოქსის, რ. ირვინის, ე. ნიულენდის, რ. დევისის, ზ. ფიშერის, შ. ტსურუს, ე. სეპირის, ჰ. კრისის, ა. ბაინდურაშვილის და სხვათა ექსპერიმენტული გამოკვლევები.

სახელდების საკითხის ექსპერიმენტული შესწავლის პიონერი დ. უზნაძე ექსპერიმენტულ მონაცემებზე დაყრდნობით ასკვნიდა, რომ - ბგერათა კომპლექსის სახელდების მიზნით გამოყენება შეუძლებელია შემთხვევით მოვლენად ჩაითვალოს, „.. . სიტყვა შემთხვევით არ უკავშირდება ობიექტს და, მაშასადამე, იგი შემთხვევით კი არ ღებულობს სახელწოდების ფუნქციას თავის თავზე, არამედ ჩვეულებრივ, სიტყვისა და

ობიექტის წარმოდგენათა მიმართების შესაფერისობას ემყარება, რომელშიც სიტყვისა და ობიექტის მნიშვნელობა ურთიერთს ხვდება” [1].

ზემოთ აღნიშნულ ავტორთა ექსპერიმენტულ მასალაზე დაყრდნობით სავსებით დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ რაიმე შინაარსის სახელდების პროცესში სახელმდებელი სუბიექტი არ არის თავისუფალი თავის არჩევანში, მისთვის სულერთი არ არის თუ რა ბგერათა კომპლექსი იქნება გამოყენებული ამა თუ იმ შინაარსის აღსანიშნად.

ექსპერიმენტულად აგრეთვე გაირკვა, რომ სახელისათვის გამოსადეგი ბგერათა კომპლექსი და მნიშვნელობა ურთიერთზე ახდენენ ზემოქმედებას, რის შედეგადაც ისინი მნიშვნელოვან ურთიერთზემოქმედების საშუალებით, მათი ურთიერთმორგება შეერთების შემდეგაც გრძელდება და მნიშვნელობის ბგერით კომპლექსთან მიკუთვნებით სახელდება სრულდება. ამ პროცესის დასრულების შედეგად ბგერითი მხარე კარგავს თავის დამოუკიდებლობას და ხდება “გამჭირვალე”. ჩვენს წინაშე ის წარმოსდგება, როგორც ისეთი სენსორული მინაარსი, რომლის საშუალებითაც უშუალოდ გვეძლევა მისი გარკვეული მნიშვნელობა [7].

სახელდების პროცესი კანონზომიერ ხასიათს ატარებს არა მხოლოდ ექსპერიმენტულ სიტუაციაში, არამედ ენის ლექსიკური ფონდის ასეთივე კანონზომიერი სახელდების გზით უნდა იყოს შედგენილი. როგორც ა. ბაინდურაშვილი აღნიშნავს “ეს კანონზომიერება ბუნებრივ სახელდებასაც უნდა ახასიათებდეს და არა მხოლოდ სახელებს, არამედ შემდგომ პერიოდში ფუნქციონირებაში მყოფ სიტყვებისთვისაც არ უნდა იყოს უცხო” [2]. ეს ნიშნავს იმას, რომ მისი როლი არ ამოიწურება იმით, რომელსაც ის ასრულებს სიტყვაშემოქმედების დროს. უნდა ვივარაუდოდ, რომ ის გარკვეულ ფუნქციონალურ დატვირთვას ასრულებს ენის ფუნქციონირების პროცესშიაც.

ამრიგად, სახელდების პროცესის დასრულებისათვის სახელმდებლის მიერ ბგერათა კომპლექსი და მნიშვნელობა ურთიერთშესატყვისად და ურთიერთშესატყვისობა უნდა განიცდებოდეს, ხოლო მათ შორის ურთიერთშესატყვისობა და ურთოერთმორგებულობა აუცილებლად უნდა ასრულებდეს რაიმე როლს სიტყვების დაუფლების ან მათი შემდგომი გამოყენების პროცესში. აღნიშნული მოსაზრებები, სახელდების საკითხის განხილვის კიდევ ერთი მიმართულებით კვლევის აქტუალობისაკენ გვიბიძგებს. კერძოდ ხომ არა აქვს ამ ურთიერთშესატყვისობას რაიმე მნემური ღირებულება და ხომ არ აადვილებს ეს შესატყვისობა სიტყვის ზემოთ აღნიშნულ ორ მხარეს შორის კავშირის დამყარებას და დასწავლას [3]. ამ პრობლემას იკვლევდა ნ. ბარამიძე, რომელმაც საინტერესო მასალები მოგვაწოდა აღნიშნული მოსაზრების დასადასტურებლად. ჩვენი მეთოდი განსხვავდება ნ. ბარამიძის კვლევაში გამოყენებული მეთოდისაგან და მიზნად ისახავს, სიტყვის ბგერით მხარესა და მის მნიშვნელობას შორის ურთიერთშესატყვისობის, როგორც დახსომების ინტენსიფიკაციის ფაქტორის კვლევას. საყურადღებოა, აგრეთვე დახსომებული მასალის დროში გამძლეობისა და სიმტკიცის ფაქტორიც, რაც ჩვენს ცდებში შევეცადეთ გამოგვერკვია.

ამ საკითხის გარკვევის მიზნით ჩვენს მიერ ჩატარებული იქნა ექსპერიმენტი. ექსპერიმენტი ტარდებოდა სამ სერიად, რომელთაგან თითოეული თავის მხრივ შედგებოდა ორი ვარიანტისაგან. ექსპერიმენტულ მასალად გამოვიყენეთ შ. ტსურისა და ჰ. ფრისის მიერ სიტყვის მნიშვნელობის საკვლევად შერჩეული იაპონური სიტყვები. ცდებისათვის იყო ისეთი მასალა, რომლის მიმართაც ცდისპირები ერთნაირად

ინდიფერენტულნი იქნებოდნენ. თუმცა, როგორც უზნაძე აღნიშნავდა, „სრულიად ინდიფერენტული მასალა ადამიანისთვის და ისიც თანამედროვისათვის არ არსებობს“. თუ გავითვალისწინებთ, რომ ისტორიულად ენის წარმოშობას წინ უსწრებს, როგორც ცნობიერების ასევე მეტყველების წარმოშობის ისტორია და სანამ პირველყოფილი ადამიანი სახელდების ფუნქციას შეიმუშავებდა მანამ უკვე იცნობდა ბგერათა კომპლექსებსა და ჟესტების ენას, როგორც საკუთარ აფექტთა და სურვილთა სიტყვებს, მაშინ “პირველყოფილი ადამიანის განსხვავება თანამედროვე ადამიანისაგან, რომელიც აღნიშნულ პირობაშია ჩაყენებული პრინციპიალურ და არსებით ბუნებისად შეუძლებელია ჩაითვალოს. ამიტომ თანამედროვე ადამიანის სახელდების ფსიქოლოგიის გათვალისწინება, გარდა იმისა, რომ ეს თავისთავადაა საინტერესო, უთუოდ მოგვცემს ხელთ ზოგ ისეთ დებულებათ, რომელთაგანაც დასკვნა პირველადი ენობრივი შემოქმედების შესახებაც მოხერხდეს” [1]. აღნიშნულიდან გამომდინარე დასმული საკითხის კვლევა ჩვენს შერჩეული მასალით, ვფიქრობთ სავსებით გამართლებულია.

კვლევის მეთოდი და ცდის აღწერა:

ცდები შედგებოდა სამი სერიისაგან. თითოეული სერია ტარდებოდა ცდისპირთა ერთიდაიგივე ჯგუფებზე ორ ვარიანტად (I და II ვარიანტი). თითოეულ ვარიანტში დაკავებული იყვნენ სხვადასხვა ცდისპირები. ცდისპირმა ამ ორ ჯგუფს შორის იაპონურ-ქართული სიტყვაწყვილები სხვადასხვანაირად ნაწილდებოდა. ის იაპონური სიტყვები, რომლებიც I ვარიანტის ცდისპირთა ჯგუფებს ეძლეოდათ ექვივალენტური მნიშვნელობით, II ვარიანტის ცდისპირთა ჯგუფებს - ის არაექვივალენტური მნიშვნელობით მიეწოდებოდათ, და პირიქით ის სიტყვები, რომლებიც I ვარიანტს ცდისპირთა ჯგუფებს ეძლეოდათ. არაექვივალენტური მნიშვნელობით, II ვარიანტში ეს სიტყვები ექვივალენტური მნიშვნელობით იყო წარმოდგენილი.

I ვარიანტისათვის შერჩეული იყო 20 სიტყვა, სადაც 10 იაპონურ სიტყვას 10 შესატყვისი ქართული სიტყვა, ხოლო დანარჩენ 10 იაპონურ სიტყვას 10 ქართული არაშესატყვისი მნიშვნელობის მქონე სიტყვა ჰქონდა მიწერილი.

II ვარიანტში ცდის პირებს ეძლეოდათ ანალოგიურად, მხოლოდ 20 სიტყვა, სადაც 10 იაპონურ სიტყვას 10 შესატყვისი ქართული სიტყვა, ხოლო დანარჩენ 10 იაპონურ სიტყვას კი 10 არაშესატყვისი მნიშვნელობის მქონე ქართული სიტყვა შეესაბამებოდა. გარდა ამისა, მონაცემთა მრავალფეროვნების მიზნით, ქართულ-იაპონური სიტყვები ისეთნაირად იქნა შერჩეული, რომ მათგა 10 იაპონურ სიტყვას I და II ვარიანტში ჰქონდა მიწერილი ანტონიმური მნიშვნელობის ქართული სიტყვები (მაგ. ჰეუუა - ომი (I ვარიანტი) ჰეუუა - მშვიდობა (II ვარიანტი)). სადაც მირითადი პრინციპები ქართულ-იაპონური სიტყვაწყვილების შერჩევისა იყო ორივე ვარიანტში ანალოგიური, შემთხვევითი მნიშვნელობით შერჩეული სიტყვების მირითადი წესებისა. ე.ი. ცალ-ცალკე სამივე სერიის ორივე ვარიანტში (I და II ვარიანტი ერთად) წარმოდგენილი იყო 40 სიტყვაწყვილი, სადაც 20 იაპონურ სიტყვას შეესაბამებოდა შესატყვისი ქართული, ხოლო 20 იაპონურ სიტყვას შეესაბამებოდა არაშესატყვისი ქართული მნიშვნელობები.

ცდები ტარდებოდა თბილისის 126-ე და 61-ე საშ. სკოლებში IV-დან XI კლ. ჩათვლით. ცდის სამივე სერიაში მონაწილეობდა 906 მოსწავლე. I სერიაში - 316, II სერიაში - 295, ხოლო III სერიაში - 295 მოსწავლე.

I სერია

ცდის I სერიაში მონაწილეობდა 316 მოსწავლე, მათ შორის 38-IV კლ., მოსწავლე, 39-V კლ. მოსწავლე, 40-VI კლ. მოსწავლე, 40-VII კლ. მოსწავლე, 40-VIII კლ. მოსწავლე, 39-IX კლ. მოსწავლე, 40-X კლ. მოსწავლე და 40-XI კლ. მოსწავლე.

ც. პირებს ურიგდებოდათ ფურცლები, რომლებზედაც იყო იაპონურ-ქართული სიტყვების ჩამონათვალი. ერთ ნაწილს ყოველ კლასში ეძლეოდა I ვარიანტის ნიმუში, ხოლო დანარჩენ ნაწილს მოსწავლეებისას - II ვარიანტის ნიმუში. ცდის პირების მიერ შესრულებული სამუშაოს ორივე ვარვიანტის შედარების გზით ხდებოდა მონაცემთა ანალიზი, ჩვენი ჰიპოთეზის შესახებ, ანუ რამდენად მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბეჭრითი მხარისა და მის მნიშვნელობას შორის ურთიერთშესატყვისობა მათი დახსომებისა და დასწავლის პროცესზე.

ცდები ყოველ კლასში (IV-XI კლ.) ტარდებოდა ანალოგიური წესით. ცდის პირებს ეძლეოდათ შემდგომი ინსტრუქცია;

“ქვემოთ წარმოდგენილია ქართული და იაპონური სიტყვების წყვილი. თითოეულ ქართულ სიტყვას სწორედ ეს იაპონური სიტყვა შეესატყვისება. თქვენ გევალებათ დაიხსომოთ ეს სიტყვაწყვილები. დასახსომებლად გეძლევათ მხოლოდ 10 წთ. რის შემდეგაც დაგირიგდებათ ახალი ფურცლები მხოლოდ იაპონური სიტყვების ჩამონათვალით. თქვენი მოვალეობაა, მიაწეროთ ამ იაპონურ სიტყვებს შესატყვისი ქართული მნიშვნელობები. ანკეტების შევსების ხანგრძლივობაა მაქსიმუმ 10 წთ.”.

მიწოდებული მასალა

I ვარიანტი	II ვარიანტი
ავა-წითელი	ავა-ჭუჭყიანი
ჰელი-ომი	ჰელი-მშვიდობა
ტატაკაი-მშვიდობა	ტატაკაი-ომი
მუში-ჭია	მუში-მტერი
შიკაკუ-წრე	შიკაკუ-წრე
კატაი-მაგარი	კატაი-დიდი
ტორი-ჩიტი	ტორი-ჭია
ჰაიაი-ნელი	ჰაიაი-ჩქარი
უარყი-კარგი	უარყი-ცუდი
ჩიკაი-ახლოს	ჩიკაი-მაგარი
ოსოი-ჩქარი	ოსოი-ნელი
ნიგოტტა-ჭუჭყიანი	ნიგოტტა-რბილი
ჩიისაი-პატარა	ჩიისაი-ახლოს
მარუ-კვადრატი	მარუ-წრე
იოი-ცული	იოი-კარგი
ტეკია-მტერი	ტეკი-სქელი
ტოოი-მეგობარი	ტოოი-შორს
იავუაი-რბილი	იავუაი-წითელი
ოოკიი-დიდი	ოოკიი-პატარა
მიკატა-შორს	მიკატა-მეგობარი

II - III სერია

მეორე სერია ტარდებოდა 1 თვის შემდეგ იგივე ცდის პირებზე, იგივე მასალით ორ ვარიანტად. ცდის პირებს ეძლეოდათ მეორე ინსტრუქცია:

“თქვენ დაგირიგდებათ ანკეტები მხოლოდ იაპონური სიტყვებით და გევალებათ აღადგინოთ მათი შესატყვისი ქართული მნიშვნელობები. მოფიქრებისათვის გეძლევათ მაქსიმუმ 10 წთ. შეეცადეთ გაიხსენოთ რაც შეიძლება მეტი რაოდენობა ამ სიტყვებისა”.

სამუშაოს შესრულების შემდეგ ცდის პირებს ჩამოერთმეოდათ ნამუშევრები და ეძლეოდათ უკვე მესამედ ერთხელ გადაკითხვის უფლებით ქართულ-იაპონური სიტყვა-წყვილის ანკეტები ხელახალი გახსენებისათვის (III სერია) მესამე ინსტრუქცია:

“გასახსენებლად დაგირიგდებათ ანკეტები თქვენთვის კარგად ნაცნობი იაპონურ-ქართული სიტყვაწყვილებით, ერთხელ გადაკითხვის უფლებით”. ამის შემდეგ ცდისპირებს ჩამოერთმეოდათ ფურცლები და ეძლეოდათ ხელახალი ანკეტები წყვილის მესამედ აღდგენის მიზნით.

ამრიგად, იაპონურ-ქართული სიტყვაწყვილები ცდისპირებს ეძლეოდათ სამჯერ აღსადგენად. პირველად 10 წთ-ის განმავლობაში, პირველი დასწავლის შემდეგ (I სერია), მეორედ 1 თვის შემდეგ გამეორების გარეშე (II სერია), და მესამედ ერთხელ გამეორების უფლებით (III სერია).

ცდის II-III სერიები ტარდებოდა ცდის პირთა ერთსა და იმავე რაოდენობაზე, 295-295 ცდისპირი. ხოლო კლასების მიხედვით ისინი ასე ნაწილდებოდნენ. IV კლ. - 34 მოსწავლე, V კლ. - 38 მოსწავლე, VI კლ. - 34 მოსწავლე, VII კლ. - 39 მოსწავლე, VIII კლ. - 39 მოსწავლე, IX კლ. - 36 მოსწავლე, X კლ. - 37 მოსწავლე, XI კლ. - 38 მოსწავლე.

ცდის სამივე სერიაში (IV-XI კლ.) შევეცადეთ გამოგვერცვია ჩვენს მიერ პირობითად შერჩეული ორი ერთობლიობიდან (იაპონური სიტყვები შესატყვისი და არაშესატყვისი მნიშვნელობით) ცდისპირებისათვის ცდის მასალის დასწავლა ატარებდა შემთხვევით ხასიათს, თუ პირიქით დასწავლის პროცესში ცდისპირებს ეხმარებოდა სიტყვის ბგერით მხარესა და მის მნიშვნელობას შორის კანონზომიერი, არაშემთხვევითი კავშირი.

Ø თითოეული სერიისათვის ზემოთ აღნიშნულ ამ ორ ცვლადლს შორის დადგინდა არსებული დამოკიდებულება (X^2).

Ø ვიკლიეთ განსხვავება სერიებს შორის, რომელიც ცდისპირებს მასალის აღდგენის სხვადასხვა პირობებში აყენებდა (X^2).

Ø დავაკვირდით ცდისპირთა შეცდომებს და მოვახდინეთ მათი ანალიზი.

ექსპერიმენტის შედეგების ანალიზი.

განვიხილოთ ცდის სამივე სერიის შედეგები ცალ-ცალკე. პირველი სერიის I და II ვარიანტების ცდების დამუშავებამ გვიჩვენა, რომ როდესაც ცდისპირებს დასამახსოვრებლად ეძლეოდათ თითოეული ვარიანტში 20 იაპონურ-ქართული სიტყვაწყვილი შესატყვისი და არაშესატყვისი მნიშვნელობებით (10 შესატყვისი 10 არაშესატყვისი). 10 წთ-ის განმავლობაში, იაპონური სიტყვების დახსომება შესატყვისი მნიშვნელობით გაცილებით უფრო დიდი რაოდენობით ხდებოდა, ვიდრე იმ იაპონური სიტყვების დახსომება, რომლებიც მათ არაშესატყვისი მნიშვნელობით ეძლეოდათ. ეს ფაქტი სტატისტიკურად დასტურდება IV, V, VIII, X და XI კლასებში ($X^2 0.05 = 28.869$). სტატისტიკურად არასანდო მონაცემები მივიღეთ მხოლოდ სამ კლასთან დამოკიდებულებაში - VI, VII, IX კლასებში. ცხ. 1.

X^2

	I სერია	II სერია	III სერია
IV	45.64	41.53	52.99
V	81.54	45.94	22.94
VI	7.98	41.73	5.88
VII	9.20	75.59	6.70
VIII	29.98	36.08	9.94
IX	10.06	48.37	25.26
X	30.13	57.35	17.02
XI	29.12	39.88	20.22

ცხრილი 1

ცდის II სერიის შედეგები, ანუ როდესაც აღსადგენად ცდისპირებს იაპონურ-ქართულ-სიტყვაწყვილები ეძლეოდათ 1 თვის შემდეგ წინასწარ გამეორების გარეშე, თიღვენის ყველა კლასში დასტურდება ჩვენი ჰიპეთეზის ჭეშმარიტება. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს იმას, რომ სახელისა და მნიშვნელობის ურთიერთშესატყვისობა აადვილებს მათ შორის კავშირის დამყარებას, რაც მათ არჩევანს ანიჭებს სწორედ არაშემთხვევით ხასიათს.

ცდის III სერიაში, როდესაც ცდისპირებს იაპონურ-ქართული სიტყვაწყვილების აღდგენის მხოლოდ ერთხელ გამეორების შესაძლებლობა ჰქონდათ, სტატისტიკურად სანდო მონაცემები მივიღეთ მხოლოდ IV კლასში, ხოლო სხვა კლასებში განსხვავება (იაპონური სიტყვების შესატყვისი და ცარაშესატყვისი მნიშვნელობით დახსომებისას შედეგებს შორის) სტატისტიკურად უმნიშვნელოდ უნდა მივიჩნიოთ.

როგორც ვხედავთ დინამიკა კლასებს შორის არც ერთი სერიის შემთხვევაში არ დასტურდება, თუმცა ტენდენცია იმისა, რომ IV, V კლასებში, მაღალ კლასებთან შედარებით სამივე სერიაში ცალ-ცალკე, სტატისტიკურად მაღალი მაჩვენებელია მიღებული მიღებული გამოიკვეთა. ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების ამ რაოდენობის საფუძველზე სხვა დასკვნების გავეთება ასაკობრივი თვალსაზრისით შეუძლებელია.

ცდების ეს საერთო შედეგები მიუთითებს იმაზე, რომ სიტყვის ბგერითი მხარისა და მნიშვნელობის ურთიერთშესატყვისობა დიდ როლს ასრულებს სიტყვების დასწავლაში. კერძოდ, სახელისა და მნიშვნელობის ურთიერთშესაბამისობააადვილებს მათ შორის კავშირის დამყარებას და, მაშასადამე, ხელსუწყობს სიტყვების დაუფლების პროცესს [3]. გამორიცხული არ არის, რომ გარდა მნემური ღირებულებისა მას სხვა ფუნქციაც შეიძლება ჰქონდეს. შევეცადოთ ავხსნათ ყველა ზემოთაღნიშნული მიმართულებით ჩვენი ექსპერიმენტის შედეგები.

ბუნებრივია, ცდის I და III სერიის შედეგების ანალიზისას იბადება კითხვა: ხომ არ განაპირობებს გამეორებათა გარკვეული რაოდენობა მასალის დასწავლას და მისი შემდგომი რეპროდუქციისას ჩვენს მიერ საკვლევ ჰიპოთეზას, ხომ არ აყენებს ეჭვქვეშ? ამ საკითხის ასახსნელად შეიძლება განმეორებათა ადგილმდებარეობის კანონს მივმართოთ. როგორც უზნაძე აღნიშნავდა: “ჭარბი გამეორების დადებითი მნემური ღირებულება განსაზღვრულ ფარგლებში უდაოა და იგი დამახსოვრების განმტკიცებაში იჩენს თავს”[5]. მაგრამ როგორია ყოველი მასალის დასამახსოვრებლად საჭირო გამეორებათა მინიმალური რაოდენობა? და რაზეა ის დამოკიდებული? ისევ უზნაძესთან ვნახულობთ, რომ “რაც უფრო მეტს იმეორებ მით უფრო ნაკლებსა და

ნაკლებს მატებ უკვე დამახსოვრებულის რაოდენობას”[4] - მაგრამ როგორ იჩენს თავს ამ კანონის თავისებურება ჩვენს ექსპერიმენტებში?

ცდის I სერიაში, ინსტიქტის თანახმად, როგორც ვნახეთ გამეორებათა რიცხვი არ იყო ზუსტად განსაზღვრული. ზოგისთვის ის შეიძლება ყოფილიყო მეტი, ზოგისთვის ნაკლები. ჩვენი ცდის პირობების გამო ამ რიცხვის ზუსტად დადგენა შეუძლებელი იყო. არ უნდა დავივიწყოთ პიროვნების ბუნებრივი ტემპიც, სადაც სწავლის ტემპი სწორედ პიროვნების ბუნებრივ ტემპთან არის დაკავშირებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ცდის I სერიის შედეგები აბსოლუტურად ეთანხმება ამ თვალსაზრისს, მართლაც უდაოა, რომ გამეორებათა რიცხვი გარკვეულ როლს თამაშობს იაპონურ-ქართული სიტყვაწყვილების დასწავლის პროცესში. გამეორებათა ეს რაოდენობა სრულიად საკმარისია ცდის მასალის დასასწავლად, თუმცა ჩვენი ჰიპოთეზა, შემთხვევათა დიდ უმრავლესობაში, საკითხის ასეთნაირი ახსნის შემდეგაც რჩება ძალაში.

ცდის III სერიის შედეგები, მიუხედავად იმისა, რომ მასალის რეპროდუქცია მოხდა 1 თვის შემდეგ, და გამეორებათა რიცხვი იყო შეზღუდული (ერთი გამეორების უფლებით, თუმცა ამ რიცხვის გაკონტროლება შეუძლებელი იყო) ცდისპირები იაპონურ-ქართული სიტყვაწყვილების დასწავლას და აღდგენას ახდენდნენ საკმაოდ დიდი რაოდენობით (როგორც შესატყვისი მნიშვნელობით ასევე არაშესატყვისი მნიშვნელობით).

საქმე იმაშია, რომ რაც უფრო მეტი დრო გადის რაიმე მასალის დასწავლის მომენტიდან, მით უფრო შორს მიდის დავიწყების პროცესი, მაგრამ ის აბსოლუტური დავიწყების დონეს მაინც ვერასოდეს ვერ აღწევს. ჩვენს შემთხვევაში ამ მასალის ხელახალი დასწავლა საგრმნობლად უფრო ადვილი აღმოჩნდა, ვიდრე მისი თავიდან დასწავლა. ამ შედეგიდან გამომდინარე თუმცა გამეორებათა რიცხვის სიმცირის გამო, როგორც ჩანს ცდისპირები ახდენენ მხოლოდ ახლახანს აღქმულის რეპროდუქციას და ამ მოკლე დროის განმავლობაში ბგერათა კომპლექსის, სახელსადები შინაარსის ფუნქციის მატარებლად განცდის განწყობა მათ არ ექმნებათ[6]. აღმნიშვნელსა და აღსანიშნს შორის ურთიერთმორიგებს და ურთიერთასიმილაციის პროცესი ვერ სრულდება და ამიტომ განსხვავება იაპონური სიტყვების შესატყვისი და ცარაშესატყვისი მნიშვნელობით აღდგენათა შორის III სერიაში უმნიშვნელოა. ცხ. 2.

	შესატყვისი მნიშვნელობით აღდგენილი სიტყვაწყვილების რაოდენობა (IV-XI კლ.)	არაშესატყვის-მნიშვნელობით აღდგენილი სიტყვაწყვილების რაოდენობა (IV-XI კლ.)
I სერია	1925	1884
II სერია	1005	771
III სერია	1557	1525

ცხრილი 2

ცდის II სერიაში იაპონურ-ქართული სიტყვაწყვილების ხელახალი რეპროდუქცია მოხდა ზუსტად 1 თვის შემდეგ, გამეორების გარეშე. მართალია აღდგენილი სიტყვაწყვილების რაოდენობა გაცილებით უფრო ნაკლები იყო (ცხ. 2) ვიდრე ცდის I და III სერიებში, მაგრამ ჩვენს მიერ საკვლევი ჰიპოთეზა ძალაში რჩება ყველა კლასის შემთხვევაში მთელი მოცულობით. მიღებული შედეგიდან გამომდინარე შეიძლება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დასკვნის გამოტანა ჩვენი ჰიპოთეზის სასარგებლოდ,

კერძოდ: სიტყვის ბგერითი მხარესა და მნიშვნელობის ურთიერთშესატყვისობა არა მარტო აადვილებს მათ შორის კავშირის დამყარებას და ცხელს უწყობს დასწავლას, არამედ დასწავლის ნსიმტკიცეზეც ახდენს გავლენას. მართლაც გარკვეული ვარჯიშის შემდეგ შესაძლებელია დავისწავლოთ, როგორც ურთიერთშესატყვისი ასევე არაურთიერთშესატყვისი სიტყვებიც, მაგრამ ეს უკანასკნელი თურმე პირველთან შედარებით უფრო ადვილად დაგვავიწყდება[3].

ჩვენი ექსპერიმენტის II სერიის შედეგები სწორედ ამ მოსაზრებების დადასტურებად შეიძლება გამოდგეს, ე.ი. როცა სიტყვის ბგერით მხარესა და მის მნიშვნელობას შორის არის ურთიერთშესატყვისობა, ცდისპირების მიერ ვლინდება მნიშვნელოვანი მნემური ეფექტი, - ასეთი სიტყვები ექვივალენტური მნიშვნელობით ცდისპირებს ამახსოვრდებათ დიდი რაოდენობით და მტკიცედ, ვიდრე ბგერითი კომპლექსები აზრაექვივალენტური მნიშვნელობით. მაგრამ რა საფუძველი შეიძლება ჰქონდეს ასეთ დასკვნას? რა მიმართავს ცდისპირებს ამ აარჩევანისკენ, როგორც ა. ბაინდურაშვილი თავის სტატიაში აღნიშნავს “ამ პროცესების გაცნობიერება ჩვენთვის, ის რაც განაპირობებს ამ ამოცანის გადაწყვეტას და რაც მიმართავს ცდისპირებს ამ არჩევანისკენ რჩება ცდისპირებს ცნობიერების მიღმა. ის არ არის წარმოდგენილი ცდისპირების ცნობიერებაში. მათ გამოსავლენად სპეციალური ექსპერიმენტებია საჭირო. ეს ცნობიერების მდგომარეობაა, რომელიც ადამიანის აქტიურობას ანიჭებს გარკვეულ მიმართულებას, ეს არაცნობიერი მდგომარეობაა, რომელშიც ხორციელდება აღმნიშვნელისა და აღსანიშნს შორის ურთიერთზემოქმედება, განისაზღვრება ამ ურთიერთზემოქმედების თავისებურებანი”[6].

საინტერესო შედეგები მივიღეთ ჩვენი ექსპერიმენტის სამივე სერიის შეცდომების ანალიზისას. გამოვყავით 3 ტიპის შეცდომები: 1. შემთხვევითი ხასიათის; 2. როცა იაპონური სიტყვები არაშესატყვისი მნიშვნელობით აღდგენილია შესატყვისად; 3. როცა იაპონური სიტყვები შესატყვისი მნიშვნელობით აღდგენილია არაშესატყვისად.

პირველი ტიპის შეცდომები ჩვენთვის ნაკლებად საინტერესოა, რადგან შესაძლებელია სუბიექტს აღქმის დროს ჰქონდეს შეცდომები ანდა ყურადღებას არ აქცევდეს ზოგიერთ რამეს, რასაც დიდი მნიშვნელობა შეიძლება აღმოაჩნდეს. ეს მეხსიერების ბრალი არ არის და მითუმეტეს სახელდების საკითხთან ნაკლებად არის დაკავშირებული. ჩვენ ძირითადად იმ შეცდომებზე შევჩერდებით, რომლებიც იაპონური სიტყვების შესატყვისი და არაშესატყვისი მნიშვნელობით აღდგენის დროს არის დაშვებული. ცხრ. 3 წარმოდგენილია ცდისპირთა მიერ დაშვებული მეორე და მესამე ტიპის შეცდომები. მასალის აღდგენის პროცესში ცხრილის მონაცემები,

	I სერია	II სერია	III სერია
არაშესატ. აღდგენილია შესატყვისად	67%	70%	74%
შესატყვისი აღდგენა არაშესატყვისად	33%	30%	20%

ცხრილი 3

სერიებს შორის განსხვავების უფრო მეტი თვალსაჩინოებისათვის წარმოვადგინეთ პროცენტებში ცდომილება სიტყვების რეპროდუქციაში უფრო ხშირი იყო არაურთიერთშესატყვისი სიტყვების შემთხვევაში (არაშესატყვისი - შესატყვისად) ცდის სამივე სერიაში. თუმცა მათი პროცენტული რაოდენობა ყველაზე მეტი იყო III სერიაში, შემდეგ II და I სერიებში. შესატყვისის არაშესატყვისი მნიშვნელობით აღდგენა ყველაზე მეტი იყო I სერიაში, შემდეგ შესაბამისად II და III სერიებში.

ამრიგად, როგორც ვნახეთ შეცდომების სასწორიც იხრება სიტყვის ბგერითი მხარისა და მისი მნიშვნელობის ურთიერთშესატყვისობის სასარგებლოდ, რაც ამ უკანასკნელის კანონზომიერ ხასიათზე მიუთითებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დ. უზნაძე. შრომები. ტ. 1, 1956.
2. ა. ბაინდურაშვილი. “სახელების პრობლემა ექსპერიმენტულ ფსიქოლოგიაში” სადოქტორო დისერტაცია. თბილისი. 1968 წ. გვ. 270.
3. ნ. ბარამიძე “ფსიქოლოგიური ნარკვევები, წერილები, სტატიები”. გამომცემლობა აჭარა “ბათუმი” 1999 წ.
4. დ. უზნაძე. ზოგადი ფსიქოლოგია, ტ. III-IV. თბილისი 1998 წ.
5. ა. ბაინდურაშვილი “რომელობით მასალაზე შექმნილი განწყობის მოქმედების კონტრასტული ეფექტის საკითხისათვის” თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები. 1961 წ.
6. А. Г. Байндурашвили. “Некоторые характерные особенности речевого знака в аспекте проблемы реальности бессознательного психического”. Бессознательное III т. 1978 г. Изд. “Мецниереба”.
7. А. Г. Байндурашвили. “Проблема наименования в кспериментальной психологии”. Автореферат доктор. диссертации. Изд. Тб. ун-та, 1968 г.

სტატია მიღებულია: 2005-11-17